გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2018 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 5067,0 კვ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და 422,64 კვ.მ. შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი: 05.32.02.139) 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3 . წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

„დამტკიცებულია“

თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში საქართველოს პარლამენტის წევრის მუხრან ვახტანგაძის 2017 წლის 01 სექტემბრის N25642/25 წერილით გადმოგზავნილი 2017 წლის 15 აგვისტოს N25 წერილით ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაცია ითხოვს ანგისის სპორტული კომპლექსის ბაზაზე არსებული სასროლეთის ტერიტორიის სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, მშვილდოსნების წვრთნისა და ტურნირებში მონაწილეობისათვის ხელშეწყობის მიზნით, ანგისის სპორტული კომპლექსიდან სასროლეთის ტერიტორია - 5067,0 კვ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 422,64 კვ.მ. შენობა-ნაგებობები (საკადასტრო კოდი: 05.32.02.139) 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცეს ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციას.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 5067,0 კვ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და 422,64 კვ.მ. შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი: 05.32.02.139) 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციისათვიის სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
ა(ა)იპ - ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და

სერვისების მართვის სამსახური

ვ) პროექტის ინიციატორი:
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე